ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND
POLITICAL SCIENCES

№ 03/30 "23" 04 2015 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება № 3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის N57/01–01 (17.04.2015) ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დადგენისა და ფაკულტეტებზე სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე დამტკიცებული (ოქმი № 3, 26.03.2015) ბაკალავრიატის სტუდენტთა დაფინანსების წესის საფუძველზე

ვბრძანებ

1. განხორციელდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის N57/01–01 (17.04.2015) ბრძანების შესაბამისად თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთაგან სახელმწიფო სტიპენდიის მოსაპოვებლად 91 კანდიდატის შერჩევა.
2. სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების შერჩევა განახორციელოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე დამტკიცებულმა (ოქმი № 3, 26.03.2015) კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ მარინა ბურძენიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
- ✓ ვალერიან მელიქიძე – დეკანის მოადგილე
- ✓ ნათელა მონიავა – სასწავლო პროცესის სამსახურის მართვის უფროსი
- ✓ ნათია დათიაშვილი – უფროსი სპეციალისტი
- ✓ თამარ გოგორიშვილი – უფროსი სპეციალისტი
- ✓ მაია ჟღენტი – უფროსი სპეციალისტი
- ✓ თამარ ქარსაულიძე – უფროსი სპეციალისტი
- ✓ ნინო ქუფარაშვილი – უფროსი სპეციალისტი

ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +995 32 290594 Tel.
ფაქსი: +995 32 290594 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge E-mail

3. საბუთების მიღება განხორციელდეს 2015 წლის 27 აპრილის 17.00 საათამდე.
4. კომისიამ იხელმძღვანელოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე დამტკიცებული (ოქმი №3, 26.03.2015) „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსების წესითა და მხოლოდ ამ სემესტრისთვის განსაზღვრული შესწორებით, კერძოდ:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის განკუთვნილი 10 ქულიანი შეფასებიდან, 5 ქულა მიენიჭოს „სხვა აქტივობებს", კერძოდ:

1 ქულა – საგაზეთო პუბლიკაცია, სერტიფიცირებულ ტრენინგში, მრგვალ მაგიდაში, სემინარში მონაწილეობა;

2 ქულა – ანალიტიკური ცენტრებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების ეგიდით გამოქვეყნებული ნაშრომი;

3 ქულა – ტელე, ან რადიო მაუწყებლების მეშვეობით გასული ტელე, ან რადიო სიუჟეტი.

ბ) სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა - შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით, კერძოდ:

1 ქულა – საქართველოში ორგანიზებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

2 ქულა – თსუ-ის საფაკულტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

3 ქულა - საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა.

5. ფაკულტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თ. ლოლბაია